ზოგადი უნარები

ინსტრუქცია:

ქვემოთ მოცემულ სიტყვათა წყვილებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. განსაზღვრეთ, რა სახის მიმართება/კავშირი არსებობს გამუქებულ სიტყვებს შორის და ჩამოთვლილი ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ სიტყვათა ისეთი წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის კავშირი ემთხვევა გამუქებულ სიტყვათა წყვილს შორის კავშირს.

ნიმუში:

ფუნჯი – ხატვა

ა. მხატვარი – პორტრეტი

ბ. ყინული – დნობა

გ. დანა _ დაჭრა

დ. ჩაქუჩი – ლურსმანი

ნიმუშის განმარტება:

როგორც ვხედავთ, სიტყვათა გამუქებულ წყვილს შორის პირველი აღნიშნავს გარკვეულ საგანს, ხოლო მეორე მის დანიშნულებას, თუ რა მიზნით გამოიყენება ეს საგანი. მაშასადამე, სიტყვათა გამუქებულ წყვილს შორის არსებობს შემდეგი სახის მიმართება: **საგანი – გამოყენება.** ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვათა წყვილებიდან ანალოგიური მიმართება არსებობს **"გ"** პასუხში: დანა არის საგანი, რომელიც დასაჭრელად გამოიყენება, ხოლო დანარჩენი სავარაუდო პასუხები მცდარია, რადგან:

1. "ა" – მხატვარი არის ხელოვანი, რომელმაც შეიძლება დახატოს პორტრეტი და ამ შემთხვევაში მიმართება **საგანი – გამოყენება** არ ვლინდება.

2. "ბ" – ყინული არის სითხე მყარ მდგომარეობაში, რომელიც თავად დნება მაღალ ტემპერატურაზე. ამ შემთხვევაშიც მიმართება **საგანი – გამოყენება** არ ვლინდება.

3. “დ” – ჩაქუჩი არის ლურსმნის დასაჭედებელი ხელსაწყო, თუმცა მისი გამოყენება (დაჭედება) სიტყვათა წყვილში არ არის მოცემული.

ინსტრუქცია:

ქვემოთ წარმოდგენილი დავალებების პირობაში მოცემული დებულებები არის ჭეშმარიტი. თქვენ უნდა აირჩიოთ პასუხის ის ვარიანტი, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს მოცემული პირობიდან.

ნიმუში:

მოცემულია, რომ:

ყველა ფრინველს აქვს ნისკარტი.

არწივი ფრინველია.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს მოცემული პირობიდან?

ა. მხოლოდ არწივებს აქვთ ნისკარტი.

ბ. ზოგიერთ ფრინველს არა აქვს ნისკარტი.

გ. არცერთ არწივს არა აქვს ნისკარტი.

დ. არწივს აქვს ნისკარტი.

ნიმუშის განმარტება:

პირობის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველა ფრინველს აქვს ნისკარტი, პირობის მეორე ნაწილის მიხედვით, არწივი ფრინველია. ამ ორი პირობიდან კი ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ **”დ”** პასუხია სწორი, რადგან: თუ ყველა ფრინველს აქვს ნისკარტი და არწივი ფრინველია, მაშინ მას აუცილებლად ექნება ნისკარტი.